ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3015519

ნომერი: AR1451180

თარიღი : 24.10.2016

გაცემის თარიღი : 26.12.2016

გაცნობის თარიღი : 26.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წავკისი, კოჯრის გზატკეც. მიმდებ ; ქალაქი თბილისი , წავკისი, კოჯრის გზატკეც. მიმდებ / ქალაქი თბილისი , ოქროყანა ; ქალაქი თბილისი , წავკისი, კოჯრის გზატკეც. მიმდებ / ქალაქი თბილისი , ოქროყანა ; ქალაქი თბილისი , წავკისი, კოჯრის გზატკეც. მიმდებ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ჯაიანი პ/ნ 01008006027
- ირაკლი აბაშიძის 84

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებითდამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის “ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1451180 (24/10/2016წ.) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ, ოქროყანაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების საკითხი თანდართული უფლებრივი ზონირების რუკით განსახილველად გადაგზავნილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2016 წლის 20 დეკემბრის N413 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ, ოქროყანაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის თაობაზე. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნულ N413 (20.12.2016წ.) განკარგულებას და უფლებრივი ზონირების რუკას.
დანართი: - განკარგულება N413 (20.12.2016წ.), უფლებრივი ზონირების რუკა.
ამასთან გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია ცალკეულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ის გადამეტება, თითოეული მიწის ნაკვეთისთვის სავალდებულოა სპეციალური (ზონალური) შეთანხების მიღება.
გამომდინარე იქედან, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N413 (20.12.2016წ.) განკარგულებით შეთანხმებული ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ, ოქროყანაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმის პროექტით გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთები NN34, 35, 36 კ-2 კოეფიციენტის გადამეტება, ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით სავალდებულოა თითოეული მიწის ნაკვეთისთვის მიიღოთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.